

ქართული ენის სწავლება და
ქართველოლოგიური კერები თურქეთში
GEORGIAN LANGUAGE TEACHING AND KARTVELOLOGICAL
CENTERS IN TURKEY

ნანული კაჭარავა
Nanuli Katcharava

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა და ლიტერატურა, თურქეთი,
სწავლება

Key words: Georgian Language and Literature, Turkey, Teaching.

ქართულმა საზოგადოებამ უკვე იცის, რომ თურქეთის ოთხ – ყარსის, არდაჰანის, რიზესა და დუზჯეს – უნივერსიტეტში გახსნილია ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილებები. ართვინის უნივერსიტეტის წესდებაში დევს კავკასიოლოგიის განყოფილების გახსნა, მაგრამ ჯერჯერობით ეს მიმართულება არ ამოქმედებულა. მოხსენებაში ვისაუბრებთ თითოეულის შესახებ.

როგორ მიდის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება თურქეთში? მიგვაჩნია, რომ თურქეთის უნივერსიტეტებში ქართული ენა (პირველ ეტაპზე მაინც) ქართველმა თურქოლოგებმა უნდა ასწავლონ. ქართველი მასწავლებელი, წმინდა ქართველოლოგი იქ ისედაც ყოველთვის საჭირო იქნება, სანამ არ აღიზრდება ამ საქმის სათანადო დონეზე შემსრულებელი თურქი სპეციალისტები. როგორც იქნა ნავსი გატყდა და საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი, რომელიც წინ უძღოდა ქართველოლოგიური მიმართულებების გახსნას თურქეთში, წარმატებით დაგვირგვინდა. შუაგულ თურქეთში სტუდენტი მოდის ქართული ენის, ლიტერატურის, კულტურისა და ისტორიის შესასწავლად და შენ არ გაქვს უფლება ათქმევინო მას, რომ ვერ ასწავლი, რომ აზუთხინებ, რომ ვერაფერს აგებინებ. ჩვენ უნდა გავუადვილოთ თურქებს ქართული ენის (მათთვის საკმაოდ რთული ენის) სწავლა ქართველი თურქოლოგების დახმარებით. ჩვენ უნდა შევავსაროთ მათ საქართველო, ქართული ენა და ქართველები. უნდა ვასწავლოთ ქართული უფრო მომხიბლავად, მიმზიდველად, მათი მშობლიური ენის დახმარებით და ეს ხელეწიფებათ ქართველ თურქოლოგებს.

როგორი მდგომარეობაა თურქეთის ქართველოლოგიურ კერებში კადრების თვალსაზრისით? ვინ თუ არა ჩვენ უნდა ვასწავლოთ თურქებს ქართული? ქართველი თურქოლოგები დიპლომის მიხედვით, პირველ რიგში, არიან ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები და მერე თურქული ენის სპეციალისტები და თარჯიმნები. ვფიქრობთ, რომ ჩვენი უნივერსიტეტის თურქოლოგიის კათედრამ, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრასთან ერთად, მომავალში მჭიდრო ურთიერთობები უნდა იქონიოს თურქეთის სხვადასხვა ქალაქების უნივერსიტეტებში აღმოცენებულ ქართული ენისა და ლიტე-

რატურის ცენტრებთან. ესენი უნდა დაკომპლექტდნენ ჩვენი პროფესიონალი კადრებით და არა შემთხვევით, პროტექციით მოხვედრილი სპეციალისტებით. მით უმეტეს, დღეს, თანამედროვე საქართველოს პირობებში, ჩვენ მოწმენი ვართ იმისა, თუ როგორი მონდომებით ეწევიან საკუთარი ენისა და კულტურის პროპაგანდას თურქები და ამას აღწევენ თავიანთი მასწავლებლებისა და ჩვენი აღზრდილი კურსდამთავრებულების დახმარებით. შედეგიც არ აყოვნებს. დღეს თურქული ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ენაა საქართველოში. ნამდვილად არ გვანწყნდა, გადაგველო მათი მაგალითი და გვესწავლებინა ქართული თურქეთში ისე, როგორც ისინი ასწავლიან და პოპულარიზაციას უწევენ თურქულს საქართველოში. თურქოლოგიის კათედრების მოვალეობა არ არის მხოლოდ თურქული ენის სწავლება ქართველი სტუდენტებისათვის. გამოჩნდა ახალი გზა, ახალი მიმართულება. ქართველმა თურქოლოგებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ თურქებისათვის ქართული ენის სწავლებაშიც. მეცნიერული მუშაობა, ახალი სახელმძღვანელოების შედგენა და მისთ. უნდა გაძლიერდეს ამ მიმართულებითაც.

The Georgian society already knows that Georgian language and literature departments have been opened in four Turkish universities- Kars, Ardahan, Rize and Duzce. The charter of Artvin University includes the opening of a department of Caucasology, but so far this direction has not been implemented. The paper discusses each department.

How is the Georgian language and literature taught in Turkey? We believe that Georgian Turkologists should teach Georgian language (at least at the first stage) at Turkish universities. A Georgian teacher, a Kartvelologist, will always be needed there until the Turkish specialists, who carry out this work at the proper level, are brought up. As it turned out, the boat broke and a rather long process, which preceded the opening of Kartvelological directions in Turkey, was crowned with success. In the middle of Turkey, a student comes to study Georgian language, literature, culture and history,

and you have no right to make them say that you can't teach, that you are forcing them to memorize, you can't explain and, therefore, they don't understand. We should make it easier for Turks to learn Georgian (a language quite difficult for them) with the help of Georgian Turkologists. We have to make them love Georgia, the Georgian language and Georgians. We need to teach Georgian more fascinatingly, with the help of their native language and Georgian Turkologists can do that.

What is the situation in terms of personnel in the Kartvelological centers of Turkey? If not us, who can teach Georgian to Turks? Especially, Georgian Turkologists, according to their diplomas, are first of all teachers of Georgian language and literature and then Turkish language specialists and translators. The Department of Turkology of our University, together with the Department of Georgian Language and Literature, should have close relations with the centers of Georgian Language and Literature in the universities of different cities of Turkey in the future. These should be staffed by our professional staff and not by accident, or nepotism.

Today, in the conditions of modern Georgia, we are witnessing the diligence of the Turks in propagating their own language and culture and they achieve this with the help of their teachers and our educated alumni. The result does not linger. Today Turkish is one of the most popular languages in Georgia. It will be nice to follow their example and teach Georgian in Turkey as they teach and popularize Turkish in Georgia. The duty of the departments of Turkology is not only to teach Turkish to Georgian students. A new direction appeared. Georgian Turkologists should take an active part in teaching Georgian to Turks. Scientific work, compilation of new textbooks and the like should be strengthened in this direction as well.

ენობრივი განვითარების
დინამიკის შესახებ გომბორელ ლაიჯთა
მეტყველებაში: ლექსიკის საკითხები
THE DYNAMICS OF LINGUISTIC DEVELOPMENT OF
THE SPEECH OF GOMBORIAN LAYIJIS: LEXICAL ISSUES

მანანა კვაჭაძე
Manana Kvachadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: საქართველო, გომბორი, ლაიჯები, თათები
Keywords: Georgia, Gombori, Layiji, Tati